აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი
საკადასტრო კოდი: ს.კ. 01.72.14.013.102

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას. საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

შემსრულებელი: **ვილიანა გულიაშვილი**

თბილისი.
2020 წელი.

საექსპერტო დასკვნა

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი (ს.კ. 01.72.14.013.102) მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.35.23.034) აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის შენობის არქიტექტურული, სანებართვო პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“.

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი (ს.კ. 01.72.14.013.102) მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.35.23.034) აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის შენობის არქიტექტურული, სანებართვო პროექტის ავტორია, არქიტექტორი: **რ.ხეცურიანი**

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე
47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა№	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

4. დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

5. საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

6. კონსტრუქციული, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა დაცვით.

1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი №	განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2.შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე.

- **პროექტის აღწერილობა**

საპროექტო შენობა მდებარეობს დავით აღმაშენებლის ხეივანში მე-12კმ. (ს/კ 01.72.14.013.102) მიწის ნაკვეთის ფართობის შეადგენს 8287 კვ.მ.-ს. საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია არსებული, სამ სართულიანი შენობა სარდაფით და სხვენით. არსებული შენობის სტრუქტურა წარმოადგენს ლენტური საძირკვლის ტიპს მზიდი კედლების სისტემით. შენობა ფუნქციონირებდა, როგორც ადმინისტრაციული დანიშნულების ობიექტი. ტერიტორიაზე განთავსებულია ხე-ნარგავები, რომლებიც სრულად შენარჩუნდება. შენობის რეკონსტრქუციის დროს შენარჩუნდება არსებული შენობის კონსტრუქციის მდგრადობა, მოქმედი ნორმების გათვალისწინებით.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრულია ტერიტორიაზე არსებული შენობის რეკონსტრუქცია, მისთვის ფუნქციის შეცვლა და შენობაში აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დაგეგმარება.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მიწისქვეშა სართულზე (-3.30 ნიშნული), არსებული შენობის სტრუქტურის გაძლიერებიდან გამომდინარე გაიზრდება კედლების სისქე და ატრიუმის გაბარიტების ცვლილებიდან გამოდინარე შეიცვლება მისი საძირკველიც.

ასევე, დაკორექტირდება ოთახების გამყოფი ტიხრები სამხრეთის მხარეს გაუქმდება ღია კაფე და შეიცვალება ღიობების რაოდენობა. მიწისქვეშა სართულზე ძირითადად მოეწყობა სასწავლო აუდიტორიები, ადმინისტრაციის ოთახი და ტუალეტები.

პროექტის მიხედვით, მიწისპირა სართულზე (0.00 ნიშნულზე) განთავსდება სასაწავლო აუდიტორიები და ადმინისტრაციის ოთახები, ასევე დაცვის ოთახი, ჰოლი მოსასვენებელი სივრცით და ტუალეტები. შენობის მე-2 სართული (+3.40 ნიშნული) სრულად დაგეგმარდება ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოთახებით, ხოლო მე-4 სართულზე მოეწყობა სასწავლო აუდიტორიები და ბიბლიოთეკა, რომელსაც ექნება ანტრესოლი +12.40 ნიშნულზე.

საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონის ნიშნულიდან **(428.3)** შეადგენს **15.95 მეტრს**, ხოლო სახანძრო სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან, ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს **10.90** მეტრზე.

უნდა აღინიშნოს, რომ შენობის ყველა სართულს ერთმანეთთან დააკავშირებს „2-3“ და „A-B“ ღერძებს შორის მდებარე ატრიუმი, სადაც განთავსდება შიგა გასასვლელის გზა-კიბე და სამგზავრო ლიფტი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ცოკოლი მოპირკეთდება ბაზალტის ფილებით, ხოლო ძირითადი კედლები ტრავერტინის ქვის ფილებით (თეთრი ფერი). ალუმინის პროფილის მქონე ფანჯრების მინის ფერი იქნება გამჭვირვალე ღია მწვანე ფერში.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის სახურავი მოეწყობა ხის ქვეკონსტრუქციაზე განთავსებული თუნუქის პანელებით გამოყენებული იქნება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში განსაზღვრული მდგარნარიმანდიანი სისტემა. (ქანობით მინიმუმ 2%)

შენობის კონსტრუქციის ტიპი, როგორც არსებული ისე რეკონსტრუქციის შემდგომ, მისი სიმაღლისა და გაბარიტული ზომების მიხედვით შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობაში **II-B** კონსტრუქციის ტიპს განეკუთვნება.

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია თავშეყრის **(თვ-3),** საქმიანი **(სქ)** და დამხმარე და სახვადასხვა დანიშნულების **(დს)** ჯგუფის დაკავებულობები, კერძოდ:

1. თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი თვ-3 (ბიბლიოთეკა +10.10 და +12.40(ანტრესოლი) ნიშნულებზე) **წესების 303.3 ქვეთავის** მიხედვით ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადგილები თავშეყრისათვის გამოიყენება, კერძოდ, რელიგიური მსახურების, რეკრეაციის ან გართობისთვის, ასევე, სხვა მიზნით თავშეყრისათვის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული **თვ** ჯგუფის არცერთ ქვეჯგუფში.

თვ-3 ქვეჯგუფის დაკავებულობების ფუნქციური დატვირთებიდან გამომდინარე განსაზღვრულია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **4.7** (სამკითხველო დარბაზი) და ჯამური დაკავებულობის დატვირთა შეადგენს **43 დამკავებელს.**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, თვაშეყრის ჯგუფის დაკავებულობა **(თვ-3)** მომიჯნავედ და ქვედა სართულზე მდებარე საქმიანი **(სქ)** და დამხმარე **(დს)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმდეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკის სივრცეში +12.40 ნიშნულზე განთავსებულია ანტრესოლი. აღნიშნულ ანტრესოლზე დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 8 დამკავებელს და აკმაყოფილებს წესების **505.2 და 505.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს სიმაღლესა და ფართობის შეზღუდვასთან დაკავშირებით, ასევე **505.2.2 და 505.2.3 ქვეთავის** მოთხოვნებს ანტრესოლის გახსნილობასა და გასასვლელ საშუალებებთან დაკავშირებით.

4. საქმინი ჯგუფი სქ (სასწავლო აუდიტორიები და ადმინისტრაციის ოთახები -3.30, +/-0.00, +3.40, +6.60 და +10.10 ნიშნულებზე, დაცვის ოთახი +/-0.00 ნიშნულზე, საკონფერენციო ოთახი +3.40 ნიშნულზე) წესების **304.1 ქვეთავის** მიხედვით ამ ჯგუფს მიკუთვნებული სივრცეები პროფესიული ან სამომსახურეო ტიპის საქმიანობისთვის გამოიყენება.

სქ ჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **9,3** (საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) ფართობები), **4.7** (სტუდიები და სხვა პროფესიული წვთრნისთვის საჭირო ოთახების ფართობები) და **1.4** (არაკონცენტრირებული მაგიდები და სკამები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და ჯამური დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს:

- -3.30 ნიშნულზე - **66 დამკავებელს.**
- +/-0.00 ნიშნულზე - **109 დამკავებელს.**
- +3.40 ნიშნულზე - **103 დამკავებელს.**
- +6.60 ნიშნულზე - **116 დამკავებელს.**
- +10.10 ნიშნულზე - **219 დამკავებელს.**

საერთო ჯამში საპროექტო შენობაში **სქ** ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **613 დამკავებელს.**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საქმიანი ჯგუფის დაკავებულობა **(სქ)** მომიჯნავედ, და ზედა სართულზე მდებარე თავშეყრის **(თვ-3)** და დამხმარე **(დს)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმდეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც

აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. დამხამრე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს (სახანძრო ტუმბოსა და წყლის რეზერვუარის ოთახი -3.30 ნიშნულზე) წესების **312.1 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს დამხმარე დანიშნულების შენობებს, ნაგებობებს და სხვადასხვა ნაგებობს, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს.

დს ჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი- **27,9** (დამხმარე სათავსები, მექანიკური მოწყობილობების ოთახი) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **2 დამკავებელს.**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, დახმარე სივრცეები **(დს)** მომიჯნავედ და ზედა სართულზე მდებარე საქმიანი **(სქ)** ჯგუფის დაკავებულობისგან გამიჯნულია მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმდეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი **1004.1.2** ცხრილის მიხედვით.

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

2. კონსტრუქციული ტიპის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია **II -B** კონსტრუქციის ტიპი.

შენობის ელემენტები - ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (ბეტონის ბლოკის წყობით მოწყობილი მზიდი კედლები), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი

ნაწილები (ხის ქვეკონსტრუქციაზე განთავსებული თუნუქის პანელები) აკმაყოფილებს წესების **601 ქვეთავის 601 ცხრილის** მოთხოვნებს, პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთავში** აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს **0 საათს** (იატაკის კონსტრუქციისთვის მინიმუმ 1 **საათს)** და შეესაბამება **601 ცხრილში II-B** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს. (0 საათი)

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედელბის სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

კონსტრუქციის ტიპების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503- ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან **(II-B)** გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **(II-B)** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე შეადგენს **16.8** მეტრს, ხოლო დასაშვები სართულიანობა, ასავე დასაშვები ფართობი თითოეულ სართულზე, საპროექტო დოკუმენტაციით მოცემული დაკავებულობებისთვის **(დს, თვ-3 და სქ)** განსაზღვრულია ინდივიდუალურად და შეადგენს:

- **დს ჯგუფი** -2 სართული - 790 კვ.მ (სართულზე)
- **თვ-3 ქვეჯგუფი -** 2 სართული - 880 კვ.მ (სართულზე)
- **სქ ჯგუფი -** 4 სართული - 2140 კვ.მ (სართულზე)

საპროექტო შენობის შემოთავეზებული სართულიანობაა მიწის ზემოთ **4 სართული.**

შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით და შეადგენს **15.95 მეტრს (შენობის სიმაღლე განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნულიდან 428.3 მეტრი)** საპროექტო შენობის ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომიდან **10.90 მეტრზე.**

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი დაკავებულობების სართულიანობა და მოცემული ფართობი შეადგენს:

- **დს ჯგუფი** - 1 სართული - 25 კვ.მ
- **თვ-3 ქვეჯგუფი -** 1 სართული - 206.1 კვ.მ

- **სქ ჯგუფი** - 4 სართული - მაქსიმალური დაკავებულობის ფართობი სართულზე - 486.4 კვ.მ

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი შენობის, სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობის ფართობები განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს **მე-5 თავის 503 - ცხრილის მოთხოვნებს.**

სიმაღლისა და ფართობის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის და 1021.2(2) ცხრილიდან** გამომდინარე შენობის თითოეულ სართულს, ემსახურება მინიმუმ 2 გასასვლელის გზა-კიბე და გასასვლელის გზა-კარი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გასასვლელის გზა-კიბეები წესების **1027 ქვეთავის** მიხედვით, მიწისპირა სართულზე სრულდება შენობიდან გამოსასვლელებით, კერძოდ:

- საპროექტო შენობის „2-3“ და „A-B“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე მიწისპირა სართულზე პირდაპირ უკავშირდება შენობიდან გამოსასვლელს და შემდეგ საზოგადოებრივ სივრცეს.

- საპროექტო შენობის „5-6“ და „C-D“ ღერძებს შორის მდებარე გარე გასასვლელის გზა-კიბე მიწისპირა სართულზე პირდაპირ უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მიწისქვეშა სართულზე, (-3.30 ნიშნული) განთავსებულ დაკავებულობებს **(სქ და დს)** დაკავებულობის დატვირთვებიდან და გასასვლელამდე სავალი მანძილებიდან გამომდინარე ემსახურება 1 შიგა გასასვლელის გზა-კიბე და 1 გარე გასასვლელის გზა-კიბე.
გასასვლელების რაოდენობა და მდებარეობა აკმაყოფილებს წესების **1021.2 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელების რაოდენობასთან და **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლეელბის განლაგებასთან დაკავშირებით.

მიწისპირა სართულზე (0.00 ნიშნული) განთავსებულ **სქ** დაკავებულობის ჯგუფს, სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე **(109 დამკავებელი)** - ემსახურება 2 გასასვლელის გზა-კარი, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2 და 1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

მე-2, მე-3 და მე-4 სართულზე (+3.40, +6.60 და +10.10 ნიშნულები) განთავსებულ **სქ და თვ-3** დაკავებულობის ჯგუფებს, სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე **(262 დამკავებელი)** - ემსახურება 1 გარე გასასვლელის გზა-კიბე და 1 შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2 და 1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი „2-3“ და „A-B“ ღერძებს შორის მდებარე შიგა გასასვლელის გზა-კიბე არ საჭიროებს ცეცხლმედეგი ზღუდეებით შემოზღუდვას, რადგან წესების **1009.3 ქვეთავის მე-5 გამონაკლისის** მიხედვით მდებარეობს ატრიუმის საზღვრებში. გარე გასასვლელის გზა-კიბეეი აკმაყოფილებს წესების **1026.3 ქვეთავის** მოთხოვნებს ღია მხარესთან დაკავშირებით, **1026.5 ქვეთავის მოთხოვნებს** მდებარეობასთან დაკავშირებით და **1026.6 ქვეთავის** მოთხოვნებს შიგა სივრცისგან გამიჯვნასთან დაკავშირებით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით და თითოეულ სართულს გააჩნია ორზე მეტი გასასვლელი. შესაბამისად წესების **ქვეთავი 1016-სა და ცხრილი 1016.2-ის** მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმლური სავალი მანძილი დაშვებულია **75 მეტრი - თვ-3** ჯგუფის დაკავებულობებისთვის, **90 მეტრი - სქ** ჯგუფის დაკავებულობისთვის, ხოლო **120 მეტრი - დს** ჯგუფის დაკავებულობისთვის. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილები დაცულია და შეესაბამება წესების მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ჩიხური დერეფნების სიგრძე არ აღემატება 15 მეტრს, რაც აკმაყოფილებს წესების **1018.4 ქვეთავის** მოთხოვნებს ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებით. გასასვლელის გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია წესების **1018 ქვეთავის** მიხედვით, ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად, ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.
გასასვლელები გრძელდება **1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

შენიშვნა:

1006.2 ქვეთავის თანახმად გზა-კიბეების და ზოგადად გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს. 1006.3 ქვეთავის თანახმად დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გასასვლელი საშუალებები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად. გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია წესების **1009.4 ქვეთავის** და შენობის მე-4 სართულზე **(+10.10 ნიშნული)** მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის **(262 დამკავებელი)** მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია წესების **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ)** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (1.1 მეტრი) მეტი და მინიმუმის შესაბამისი სიგანის (1.16 და 1.10 მეტრი) გზა-კიბეები და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. გზა-კიბეების სიგანე დამატებით აკმაყოფილებს წესების **1007.3 ქვეთავის** მოთხოვნებს.

შიგა გასასვლელის გზა-კიბეები, ასევე აკმაყოფილებს წესების **1009.7, 1009.8** და **1009.15** ქვეთავების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი). გზა-კიბეში შემავალი და გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია წესების **1018 ქვეთავის** მიხედვით და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნებში **1018.1 ცხრილის** მიხედვით დერეფნის კედლლების ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია დასაშვები მინიმუმის შესაბამისი - მინიმუმ **0 სთ**. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია წესების **1018.2** ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის

მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(3,8).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(1,2 მ)** მეტი სიგანის დერეფანი, მინ.**1,75 და 2.15 მეტრი.**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის **(262 დამკავებელი)** მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია წესების **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(3,8 მმ)** გასასვლელის გზა-კარების მოთხოვნილი სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0.82 მეტრს,** ხოლო პროექტით გათვალისწინებული, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარების სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ **0.82 და 1.70 მეტრს.**

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს წესების **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკავებულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელების და გასავლელების (ავეჯებს შორის თავშეყრის და საქმიან ფართობებზე) რაოდენობა (1021 ქვეთავის მიხედვით) და გამტარუნარიანობა, განსაზღვრულია **1008 ქვეთავის**, დაკავებულობის დატვირთვის **(1004 ქვეთავი)** და **1005.3.2**. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის (3,8 და 5.1 მმ) მიხედვით, აკმაყოფილებს განსაზღვრულ ყველა მინიმალურ მოთხოვნას. ასევე წესების **1017.5 ქვეთავის** მოთხვნას გასავლელის დაშვებულ მინიმუმთან (90 სმ) დაკავშირებით.

გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება. განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

6. მისაწვდომობის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-**11-თავის** მიხედვით გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში შესვლა-გამოსვლა და შენობიდან გამოსვლა, ასევე მე-**11 თავის** მიხედვით განსაზღვრულია მისაწვდომი მთავარი შესასვლელი.

საპროექტო შენობის 0.00 ნიშნულზე განთავსებული **სქ ჯგუფის** დაკავებულობებისთვის ინდივიდუალურად არის უზრუნველყოფილი მისაწვდომი სვლაგეზი წესების **1109.12.3-1109.13**

ქვეთავის მიხედვით. ამავე ნიშნულზე უზურნველყოფილია შენობის მისაწვდომი მთავარი შესასვლელი.

თვ-3 ქვეჯგუფის დაკავებულობებში არსებული დასაჯდომები, მისაწვდომია, და აკმაყოფილებს წესების **1108.2.2.1, 1108.2.7 და 1108.2.9 ქვეთავების** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით -3.30 , +3.40 და +6.60 და 10.10 ნიშნულებზე განთავსებულია **სქ და დს** ჯგუფის დაკავებულობები, სადაც შეზღუდული შესაძლებელობების მქონე პირები ხვდებიან „2-3“ და „A-B“ ღერძებს შორის მდებარე, ატრიუმის სივრცეში მოწყობილი სამგზავრო ლიფტის მეშვეობით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილ ლიფტს არ მოეთხოვება წესების **713.14.1 ქვეთავით** განსაზღვრული ლიფტის ფოიე, რადგან მდებარეობს კვამლის საკონტროლო სისტემით აღჭურვილ ატრიუმის სივრცეში. ლიფტის კაბინის ზომები წესების **1702.4 ქვეთავის** მოთხოვნების მიხედვით უზრუნველყოფს საკაცის განთავსების შესაძლებლობას.

შენობაში განთავსებული ლიფტი მოცემული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით აკმაყოფილებს წესების **მე-17 თავით** განსაზღვრულ ძირითად მოთხოვნებს, აღნიშნული ლიფტი უნდა მოეწყოს და აღიჭურვოს წესების **1701.2 ქვეთავში** მითითებული სტანდარტების შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს წესების **მე-17 თავით** განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში უზურნველყოფილია წესების **1109.2 ქვეთავით** განსაზღვრული მისაწვდომი ტუალეტის ერთეულები.

მისაწვდომია შიგა და გარე ყველა სივრცე, რომლებიც მისაწვდომითავშეყრის ან საქმიანი სივრცის ნაწილია და მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარეობს.

მისაწვდომობისშეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია წესების **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, წესების მოთხოვნების შესაბამისად:

„1-6“, „A-D“, „D-A“ და „6-1“ ღერძებში მდებარე ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი 9 მეტრზე მეტია (მინიმალური მანძილი **20.8 მეტრი**) და წესების **602**

ცხრილის მიხედვით არ საჭიროებს გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის უზურნველყოფას. ასევე აღნიშნულ ფასადებზე მდებარე ღიობების ფართობი წესების **705.8 ცხრილის** მიხედვით შეუზღუდავია.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები,ფანჯრები) აკმაყოფილებს წესბის **705.8 ცხრილების** მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე **705.8.5 და 716 ქვეთავის** მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან და ღიობის დამცავებთან დაკავშირებით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გარე კედლების მოწყობა უნდა განხორციელდეს წესების **1404, 1405, 1406, 1407 და 1408 ქვეთავების** მოთხოვნების შესაბამისად , გარე კედლების საფართან, წვად, ლითონშემცველ და მოსაპირეკეთებელ მასალებთან დაკავშირებით.

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებაგანხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრულია წესების **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესბამება **II-B** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მინიმუმს (0 სთ).

შენობის სახურავი მოეწყობა ხის ქვეკონსტრუქციაზე განთავსებული თუნუქის პანელებით გამოყენებული იქნება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში განსაზღვრული მდგარნარიმანდიანი სისტემა. (ქანობით მინიმუმ 2%)

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი ქანობიანი სახურავის კონსტრუქცია წესების **1507.4 ქვეთავის** მიხედვით აკმაყოფილებს ლითონის პანელების მქონე სახურავთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის **B კლასს (ცხრილი1505.1ა)** სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია**1507.10.2 ცხრილის** შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს ASTM A 792 ტიპს ან მსაგვს, ეკვივალენტური სატნდარტის მოთხოვნას.

სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია მე-4 სართულიდან სახურავზე ასასვლელი ლუქის მეშვეობით.

წესების **705.11 ქვეთავის პირველი** გამონაკლისის მიხედვით შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება.

სახურავის ანაწყობების მოთხოვნების შეფასებაგანხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ

არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად. პროექტში წარმოდგენილია 3 შერეული დაკავებულობა **დს, თვ-3** და **სქ** ჯგუფების სახით.

დამხმარე ჯგუფი **დს** (სახანძრო ტუმბოსა და წყლის რეზერვუარის ოთახი -3.30 ნიშნულზე), თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი **თვ-3** (ბიბლიოთეკა +10.10 და +12.40(ანტრესოლი) ნიშნულებზე), საქმიანი ჯგუფი **სქ** (სასწავლო აუდიტორიები და ადმინისტრაციის ოთახები -3.30, +/-0.00, +3.40, +6.60 და +10.10 ნიშნულებზე, დაცვის ოთახი +/-0.00 ნიშნულზე, საკონფერენციო ოთახი +3.40 ნიშნულზე) ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილის** მოთხოვნებს. კედლების და თარაზული ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა და ბეტონის ბლოკის კედლები.

შენობაში არსებული ყველა შახტი, რომლებშიც განთავსებულია გაყვანილობები შემოზღუდულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **713 ქვეთავის** და **713.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით -3.30 ნიშნულზე განთავსებულია სახანძრო ტუმბოს ოთახი რომლებიც აკმაყოფილებს წესების **913.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს და დაცულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლემდეგობის მქონე ზღუდეებით. სატუმბი დანადგარის ოთახი დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს წესების **913 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებაგანხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული დაკავებულობებიდან, ასევე, შენობის ფართობიდან და სიმაღლიდან გამომდინარე საპროექტო შენობა უნდა აღიჭურვოს შემდეგი ხანძრისაგნ დაცვის აქტიური სისტემებით:

ავტოსასხეფი სისტემა - (მთელი შენობა)

სახანძრო მილდგარების სისტემა (მთელი შენობა)

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემა - (ყველა დაკავებულობაში, ატრიუმში და დერეფნებში)

კვამლის საკონტროლო სისტემები (ატრიუმში)

ხელის ცეცხლმაქრები (ყველა დაკავებულობაში)

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით წესების **404.3, 903.2.1.1 და 903.2.1.3 ქვეთავების** მოთხოვენბიდან გამომდინარე.

ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დაყენდეს წესების **903.3.1.1** და **903.3.5.2 ქვეთავების** მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს NFPA 13-ის სტანდარტის გამოყენებას, თუმცა წესების **102.3 ქვეთავის** მიხედვით შესაძლებელია სხვა ეკვივალენტური სტანდარტის გამოყენებაც.

შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების **403.4.3** და **905.3 ქვეთავების** მოთხოვნებიდან გამომდინარე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მთელ შენობაში გათვალისწინებულია **I კლასის** სახანძრო მილდგარების სისტემა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სახანძრო მილდგარებისადმი წესების **905.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

წესების **905.4.1 ქვეთავის** გამონაკლისის შესაბამისად I კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების დგარები და გვერდითი განშტოებები, რომლებიც შემოზღუდული გზა-კიბის საზღვრებში ან ჰერმეტულად დახურულ სივრცეში არ მდებარეობს, შესაძლებელია არ იყოს დაცული ცეცხლმედეგი კედლებით, რადგან შენობა აღჭურვილია ავტოსასშხეფი სისტემით.

პროექტის მიხედვით მილდგარები ყველა სართულზე განთავსებულია შიგა და გარე გასასვლელის გზა-კიბეების ნაწილში, რაც აკმაყოფილებს წესების **905.4 ქვეთავის** მოთხოვნებს სახელოს მისაერთებლების მდებარეობასთან დაკავშირებით. წესების დაშვებებიდან გამომდინარე დაკავებულობებში დამატებით შესაძლებელია II კლასის მილდგარების სისტემის განთავსება.

საპროექტო დოკუემნტაციით წარმოდგენილი მილდგარების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს წესების **905.2 ქვეთავის** მოთხოვნას დაყენების სტანდარტთან დაკავშირებით, უნდა გამოიყენებოდეს NFPA 14-ის ან მისი ეკვივალენტური დონის სტანდარტი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მთელი შენობა აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო განგაშის სისტემებით წესების **907.2, 907.2.2, 907.2.14** და **907.4. 2 ქვეთავების** შესაბამისად. სახანძრო ტუმბოს ოთახი (დს ჯგუფი) **903.3.1.1.1 ქვეთავის** შესაბამისად აღჭურვილია ცეცხლის აღმომჩენი ავტომატური სისტემით. აღნიშნული სისტემები უნდა აკმაყოფილებდეს წესების **907.1.1, 907.1.2 და 907.2 ქვეთავების** ყველა აუცილებელ მოთხოვნებს.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნებიდან და საპროექტო დოკუმენტაციიდან გამომდინარე კვამლის საკონტროლო სისტემები უზრუნველყოფილია შენობის ქვემოთ ჩამოთვლილ ნაწილებში:

1. **ატრიუმი** - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე საპროექტო შენობაში არსებული ატრიუმის სივრცე აღჭურვილია კვამლის კონტროლის სისტემით წესების **404.5 ქვეთავის** მოთხოვნების შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ატრიუმში და მისგან ცეცხლმედეგი ზღუდით გაუმიჯნავ სივრცეებში გამოყენებულია კვამლის მექანიკური კონტროლის სისტემა გაწოვის მეთოდით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს წესების **909.8 და 909.8.1 ქვეთავების** ყველა მოთხოვნას.

საპროექტო შენობაში განთავსებული ყველა კვამლის საკონტროლო სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს წესების **909.19 ქვეთავის** მოთხოვნების სისტემის აღიარებასთან დაკავშირებით.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **906.1 ქვეთავის** მიხედვით ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია, **დს, თვ-3 და სქ ჯგუფის** დაკავებულობებში **906 ქვეთავის** შესაბამისად.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **912-ე** ქვეთვის მიხედვით, საპროექტო შენობის ფასადის კედელზე, გამოყოფილია ადგილი სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლებისთვის, რომელიც ემსახურება შენობაში განთავსებულ ავტოსაშხეფ სისტემას. ავტოსაშხეფი სისტემისთვის შენობს **(-3.30 ნიშნულზე)** დამატებით განთავსებულია წყლის რეზერვუარი. ამავე ნიშნულზე განთავსებული ოთახი, სახანძრო ტუმბოებისთვის, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს წესების **913-ე თავის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოერბის წესებით მოთხოვნილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები უნდა აკამყოფილებდეს წესების **901 ქვეთავის** მოთხოვნებს, დაყენებასთან, აღიარებასთან და შემოწმებასთან დაკავშირებით.

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების **მე-16** თავის შესაბამისად .

პროექტით გათვალისწინებული თითოეული დაკავებულობისთვის **(დს, თვ-3 და სქ)** განსაზღვრულია წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა და მინიმალური მოთხოვნები **1602.2 ქვეთავისა** და **1602.1 ცხრილის** მიხედვით.

პროექტის მიხედვით **თვ-3 და სქ** ჯგუფის დაკავებულობებისთვის ინდივიდუალურად არის განსაზღვრული წყალსადენის ფიქსირებული მოწყობილობები, მათი განლაგება და რაოდენობა აკმაყოფილებს წესების **1602.1 ქვეთავის** მოთხოვნებს, ასევე ტუალეტების მდებარეობა აკამყოფილებს წესების **1602.3.2 ქვეთავის** მოთხოვნას და მათთან მისასვლელი სავალი ბილიკის სიგრძე არ აღემატება 150 მეტრს.

წყალსადენი სისტემების და ფიქსირებელი მოწყობილობების აუცილებელი მისაწვდომი საერთო რაოდენობა სწორად არის დადგენილი**1109.2 ქვეთავის** მიხედვით.

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებაგანხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

დასკვნა

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი (ს.კ. 01.72.14.013.102) მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.35.23.034) აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის შენობის არქიტექტურული, სანებართვო დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია შესაბამის ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ვილიანა გულიაშვილი

თარიღი : 15.04.2020



GEORGIA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

HIGHER EDUCATION

DIPLOMA

UA № 000003

By the decision N 20 December 12, / 2005 . /

of the faculty of Architecture

Ms. Viliana Guliashvili

was awarded the qualification of Architect

in

Architecture

with 5 year educational program.

სარეგისტრაციო № Registration № 00003

თბილისი Tbilisi 11 რიცხვი/day 5 თვე/month 2012 წელი/year

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი განათლების

დიპლომი

UA № 000003

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2005 წლის 12.12 № 20

გადაწყვეტილებით ვილიანა გულიაშვილს

მიენიჭა არქიტექტორის

კვალიფიკაცია არქიტექტურის

სპეციალობით.

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა: 5 წელი

დეკანი თ. ჭანტურია / თამარ ჭანტურია /

Dean T. Tchanturia / Tamar Chanturia /

რექტორი / გიორგი ფრანგიშვილი /

Rector / Archil Prangishvili /

ბ.ა. Seal

გოდაკო
godaco+
არქიტექტურული ფირმა

შ.პ.ს. "გოდაკო+"
საიდენტიფიკაციო კოდი; 202269035
იურიდიული მისამართი; საქართველო,
თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, ი.ჭავჭავაძის 2/10

ტელ; 592 90 30 22 ელ.ფოსტა godaco@mail.ru

58/2017

ცნობა

ეძლევა მოქალაქე ვილიანა გულიაშვილს (პირადი N01027020578) მასზედ, რომ ის 2007 -2012 წლებში მუშაობდა შპს "გოდაკო+" ს/კ 202269035 არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად

დირექტორი: გიორგი კვიწინაშვილი



გოდაკო godaco+ არქიტექტურული ფირმა
გოდაკო godaco+ არქიტექტურული ფირმა
გოდაკო godaco+ არქიტექტურული ფირმა
გოდაკო godaco+ არქიტექტურული ფირმა
გოდაკო godaco+ არქიტექტურული ფირმა
god